



ევროკომისია

საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების  
პოლიტიკის კავშირის  
უმაღლესი წარმომადგენელი

ბრიუსელი, 9 ნოემბერი 2017  
SWD 371 საბოლოო

**ევროკომისიის აპარატის სამუშაო დოკუმენტი**

**ანგარიში საქართველოს მიერ ასოცირების პროცესის  
განხორციელების შესახებ**

## ანგარიში საქართველოს მიერ ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების შესახებ

### 1. წინასიტყვაობა

განახლებული ევროპის სამეზობლო პოლიტიკის შესაბამისად, წინამდებარე ანგარიშში განხილულია საქართველოს მიერ ევროკავშირსა და საქართველოს შორის გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება 2016 წლის 2 დეკემბერს ჩატარებული ევროკავშირი-საქართველოს საბჭოს სხდომიდან საბჭოს შემდეგ სხდომამდე - 2017 წლის 8 დეკემბერს - პერიოდში.

ევროკავშირმა და საქართველომ 2017 წელს კიდევ უფრო გაააქტიურეს თავიანთი ურთიერთობები. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანი მიღწევა იყო 2017 წლის 28 მარტს შენგენის სივრცეში მოკლევადიანი ვიზიტებისთვის უვიზო მიმოსვლის ძალაში შესვლა. ევროკავშირსა და საქართველოს შორის სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის შესახებ დიალოგი ქმედითი იარაღი გამოდგა სხვადასხვა სფეროში რეფორმების დასაჩქარებლად. 2017 წელს საქართველო კვლავ ახორციელებდა თავის მიგრაციის სტრატეგიას და სამოქმედო გეგმას, გარდა ამისა, დანერგა მიგრაციის ერთიანი ანალიტიკური სისტემა. კიდევ ერთი საეტაპო მიღწევა, რომელმაც დაახლოვა ევროკავშირი და საქართველო, იყო საქართველოს მიერთება ენერგეტიკული თანამეგობრობის ხელშეკრულებისადმი სრულფასოვანი მონაწილე მხარის სახით 2017 წლის ივლისში.

რეფორმების განხორციელების თავისი მდგრადი მცდელობებით და ევროკავშირთან ურთიერთობის შემდგომი განვითარების ამბიციით, საქართველომ განამტკიცა თავისი პოზიცია როგორც ერთ-ერთმა უმთავრესმა და სტრატეგიულმა პარტნიორმა რეგიონში.

საქართველოს მისწრაფება ევროკავშირთან პოლიტიკური ასოცირებისა და ეკონომიკური ინტეგრაციისკენ, რაც ასოცირების შესახებ შეთანხმებაშია ჩამოყალიბებული, კვლავ ფართო მხარდაჭერას ღებულობს ქართული საზოგადოების მხრიდან. 2016 წლის ოქტომბერში ჩატარებულმა საკანონმდებლო ორგანოს არჩევნებმა დაადასტურა ქვეყნის ორიენტაცია ევროკავშირთან პოლიტიკური ასოცირებისა და ეკონომიკური ინტეგრაციის მიმართულებით.

მთლიანობაში, ასოცირების შესახებ შეთანხმებაში, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების ჩათვლით, განსაზღვრული ვალდებულებების შესრულება გრძელდებოდა შეთანხმებული ვადების დაცვით. ასოცირების განახლებული დღის წესრიგი ნოემბრის დასაწყისში უნდა იქნეს მიღებული.

ცალკეული ქვეყნებისთვის დახმარების გაწევის ახალ ჩარჩო-პროგრამას (Single Support Framework) თავისი წვლილი შეაქვს ასოცირების შესახებ შეთანხმების

განხორციელებისა და ძირითადი სტრუქტურული და ინსტიტუციური რეფორმების მხარდაჭერაში, კერძოდ, ეკონომიკისა და ბიზნესის გარემოს სფეროში. ეს შეესაბამება საქართველოს რეფორმების დღის წესრიგს და დაეხმარება საქართველოს, მაქსიმალურად ისარგებლოს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის მიერ მოტანილი სიკეთეებით. საქართველოში მოქმედ საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტებთან საერთო ამოცანებთან დაკავშირებით დამყარებული მჭიდრო თანამშრომლობაც იძლევა საქართველოს მთავრობის მიერ განხორციელებული რეფორმების პროცესის ხელშეწყობის გაუმჯობესების შესაძლებლობას.

ტექნიკური რეგულაციებისა და სტანდარტების თანდათანობითი დაახლოებით ევროკავშირის რეგულაციებსა და სტანდარტებთან საქართველო სულ უფრო მეტად ახერხებს, განამტკიცოს თავისი მონაწილეობა გლობალურ ჯაჭვებში. 2016 წელს ევროკავშირი საქართველოს მთავარი სავაჭრო პარტნიორი იყო: მისი წილი მთლიან ვაჭრობაში 30%-ს უდრიდა (მთლიანი ექსპორტის 27% და იმპორტის 31%).<sup>1</sup> 2017 წლის წინასწარი მონაცემები ამ ტენდენციის გაგრძელებაზე მეტყველებს. ამ კონტექსტში საქართველოს დაშვება წარმომავლობის წესების შესახებ საერთოევროპული-ხმელთაშუაზღვისპირა ქვეყნების კონვენციის ხელშემკვრელ მხარედ, ასევე ევროკავშირის ბაზრის გახსნა ცხოველური წარმოშობის ახალი პროდუქტებისთვის საქართველოდან, როგორც არის თევზის პროდუქტები, მნიშვნელოვანი საეტაპო მიღწევები იყო.

2017 წლის 12 აპრილს საქართველო და საერთაშორისო სავალუტო ფონდი შეთანხმდნენ სამწლიან (2017-2020) გაფართოებულ შეთანხმებაზე საერთაშორისო სავალუტო ფონდის საკრედიტო დახმარების ფარგლებში ეკონომიკური სფეროს რეფორმის ხელშესაწყობად. 2017 წლის ივნისში საქართველოს მთავრობამ ევროკავშირისგან ახალი მაკროფინანსური დახმარების პროგრამის განხორციელებაც ითხოვა. 2017 წლის 29 სექტემბერს ევროკომისიამ საქართველოს შესთავაზა ახალი მაკროფინანსური დახმარების პროგრამა 45 მილიონ ევრომდე თანხით (10 მილიონამდე ევრო გრანტების, ხოლო 35 მილიონი ევრო - სესხების სახით). შემოთავაზებული მაკროფინანსური დახმარების პროგრამა, რომელიც ძალაში შესვლამდე და თანხების გაცემამდე უნდა დაამტკიცონ ევროპარლამენტმა და ევროკავშირის საბჭომ, დაეხმარება საქართველოს მომავალ წლებში გარე ფინანსურ საჭიროებათა ნაწილის დაფინანსებაში.

უსაფრთხოების, ტერორიზმთან და საერთაშორისო ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის საქმეში საქართველო კვლავ ევროკავშირის მნიშვნელოვანი პარტნიორია. 2017 წლის აპრილში საქართველომ და „ევროპოლმა“ გააფორმეს სტრატეგიული და საოპერაციო შეთანხმება.

---

<sup>1</sup> Eurostat.

საქართველო კვლავ აქტიურ როლს თამაშობს ევროპის განახლებული სამეზობლო პოლიტიკის განხორციელებაში, როგორც ეს ასახულია ევროკავშირის ანგარიშში, რომელიც 2017 წლის მაისში იქნა მიღებული,<sup>2</sup> და აღმოსავლეთ პარტნიორობაში, მათ შორის მონაწილეობს აღმოსავლეთი პარტნიორობის მომავალი სამიტის მომზადებაში, რომელიც 24 ნოემბერს ბრიუსელშია დაგეგმილი. საქართველო ჩართული იყო კონკრეტული წინადადებების შემუშავებაში 2020 წლამდე პერიოდისათვის (ზოგიერთი საეტაპო მიღწევა უკვე ამ წლის სამიტისთვის უნდა იქნეს შესრულებული), რაც გათვალისწინებულია ევროკომისიის აპარატის სამუშაო დოკუმენტში „აღმოსავლეთი პარტნიორობა - 20 საეტაპო მიღწევა 2020 წლისათვის“. საქართველო ასევე აგრძელებდა აქტიურ მონაწილეობას აღმოსავლეთი პარტნიორობის საქმიანობაში: იგი ჩართული იყო მრავალმხრივი პლატფორმებისა და კომისიების მუშაობაში.

ფინანსური დახმარება საქართველოსთვის კვლავ ფოკუსირებულია ასოცირების შესახებ შეთანხმების განხორციელებაზე, მთავრობის რეფორმების ოთხპუნქტიანი პროგრამის შესაბამისად. 2017 წლის „წლიური სამოქმედო პროგრამა“ (115 მილიონი ევრო), რომელიც 2017 წლის ოქტომბერში დასრულების სტადიაში იყო, ყურადღებას ამახვილებს ძირითად სტრუქტურულ და ინსტიტუციურ რეფორმებზე, როგორებიც არის ადამიანური კაპიტალისა და უნარების განვითარება, ეკონომიკისა და ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა, ფინანსური ინფრასტრუქტურის მოდერნიზება და ბიზნესის განვითარების გაძლიერება, სხვა საშუალებებთან ერთად, გაერთიანებებისა და საწარმოო ჯაჭვების განვითარების ხელშეწყობის გზით.

გარდა ამისა, ევროპის ფარგლებს გარეთ ინვესტირების ახალმა გეგმამ, რომელიც ძალაში 2017 წლის 28 სექტემბერს შევიდა, მნიშვნელოვანი როლი უნდა ითამაშოს ქვეყანაში ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობაში და დასაქმების შესაძლებლობების შექმნაში. მისი შექმნის მიზანი იყო გაწეული დახმარების გააქტიურება ფონდების „შერევით“: ახალი საგარანტიო სქემის შექმნით და, ამავე დროს, პარტნიორ ქვეყნებთან პოლიტიკური დიალოგის გაძლიერებით ბიზნესისთვის გარემოსა და საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესების მიზნით.

## **2. პოლიტიკური დიალოგი, კარგი მმართველობა და ინსტიტუტების გაძლიერება**

### **2.1. დემოკრატია, ადამიანის უფლებები და კარგი მმართველობა**

2017 წელს საქართველომ წამოიწყო კონსტიტუციის ფუნდამენტური რეფორმა შერეულიდან საპარლამენტო სისტემაზე გადასასვლელად. რეფორმა, რომელიც ვენეციის კომისიამ მთლიანობაში პოზიტიურად შეაფასა, მიზნად ისახავს ქვეყნის კონსტიტუციური წყობის განმტკიცებას დემოკრატიის, კანონის უზენაესობისა და ძირითადი უფლებების დაცვის პრინციპებზე დაყრდნობით. პარლამენტის მიერ

<sup>2</sup> ერთობლივი ანგარიში ევროპის განახლებული სამეზობლო პოლიტიკის განხორციელების შესახებ (JOIN(2017) 18 final).

მიღებულმა კანონპროექტმა ოპოზიციის მხარდაჭერა ვერ მოიპოვა უმთავრესად უმრავლესობის გადაწყვეტილების გამო, სრულად პროპორციული საარჩევნო სისტემის შემოღება 2024 წლამდე გადადებულიყო. სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციები და ოპოზიცია აცხადებდნენ, რომ პროცესი არ იყო ინკლუზიური და იგი ძალზე ნაჩქარევად წარიმართა. ახალი კონსტიტუციის ახალი დამახასიათებელი ნიშნებია: პრეზიდენტის პირდაპირიდან არაპირდაპირ არჩევნებზე გადასვლა, პარლამენტის მიერ მთავრობისთვის უნდობლობის გამოხატვის გამარტივებული პროცედურა, მედიის თავისუფლების დამატებითი გარანტიები და ქორწინების როგორც მამაკაცისა და ქალის კავშირის განმარტება. პარლამენტმა კონსტიტუცია 2017 წლის 13 ოქტომბერს მიიღო, დაძლია რა პრეზიდენტის ვეტო, მაგრამ ვენეციის კომისიისგან საბოლოო დასკვნის მიღების შემდეგ მასში დამატებითი ცვლილებების შეტანაა მოსალოდნელი.

2017 წლის 21 ოქტომბერს გაიმართა **ადგილობრივი არჩევნების** პირველი ტური. ეუთო-ს დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა ოფისის არჩევნების სადამკვირვებლო მისიის წინასწარი ანგარიშის მიხედვით, ძირითადად დაცული იყო ფუნდამენტური თავისუფლებები და კანდიდატებს ჰქონდათ შესაძლებლობა, კამპანიები თავისუფლად ჩატარებინათ, თუმცა ზოგიერთ საარჩევნო უბანზე გარკვეული უწყესრიგობაც შეინიშნებოდა. არ დამთავრებულა სრული გამოძიება და 2016 წლის (წინა) საარჩევნო ძალადობის შემთხვევებზე რეაგირება.

2017 წლის მაისში საქართველომ მოახდინა **ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის** პრევენციისა და მასთან ბრძოლის შესახებ ევროპის საბჭოს (სტამბოლის) კონვენციის რატიფიცირება. ინფორმაციის გავრცელების კამპანიებისა და საზოგადოების დამოკიდებულების მნიშვნელოვანი ცვლილების შედეგად გაიზარდა პოლიციისთვის ოჯახში ძალადობის შემთხვევათა შეტყობინება. კვლავ მაღალია ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევების რაოდენობა. 2017 წლის ივნისში შეიქმნა გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია.

მიუხედავად კანონმდებლობის დახვეწის და საზოგადოებაში ცოდნის გავრცელების მცდელობებისა, კვლავ მაღალია **გენდერული უთანასწორობა**. გენდერული უთანასწორობის ინდექსში 188 ქვეყნიდან საქართველო 76-ე ადგილზეა, ხოლო ქალებისა და მამაკაცების უთანასწორობის გლობალურ ინდექსში 144 ქვეყნიდან 90-ე ადგილზე. ქალები არასაკმარისად არიან წარმოდგენილები პოლიტიკაში (15.33% პარლამენტში და 11.6% ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებში) და შრომის ბაზარზე (ეკონომიკურად აქტიური ქალების მაჩვენებელი - 58%, შედარებით მამაკაცთა 78%-თან).

რაც შეეხება **თანასწორ მოპყრობას**, განხორციელების პროცესშია საქართველოს თანასწორობისა და ინტეგრაციის სტრატეგია და მისი ყოველწლიური სამოქმედო გეგმები, რომლებიც მიზნად ისახავს ეროვნულ უმცირესობათა ინტეგრირებას. სახელმწიფო ენის შესახებ კანონი ადგენს არასახელმწიფო ენების გამოყენებას

ეროვნული უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ მუნიციპალიტეტებში, მაგრამ უცნობია კანონის აღსრულების მდგომარეობა მონიტორინგის მექანიზმის არარსებობის გამო. 2015 წლის შემდეგ დაგეგმილია **დისკრიმინაციის** ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კანონში სახალხო დამცველის მიერ შეთავაზებული ცვლილებების შეტანა, რომლებიც მიზნად ისახავდა კანონის საფუძველზე აღსრულების მექანიზმის ეფექტიანობის გაზრდას. დაფიქსირებულია ლგბტ (ლესბოსელ, ჰომოსექსუალ, ბისექსუალ, ტრანსგენდერ და ინეტერსექს) პირთა შრომის, ჯანდაცვის, სოციალურ და ეკონომიკურ სფეროებში დისკრიმინაციის შემთხვევები. 2016 წელს პროკურატურამ შემოიღო სახელმძღვანელო მითითებები სიძულვილის დანაშაულის გამოძიებისთვის. მიმდინარეობს გამოძიება საქართველოს ტერიტორიაზე აზერბაიჯანის მოქალაქის სავარაუდოდ უკანონოდ გატაცების და აზერბაიჯანისთვის მისი უკანონოდ გადაცემის ფართოდ გაშუქებულ საქმეზე. არ მომხდარა მნიშვნელოვანი მოვლენები რელიგიური უმცირესობებისთვის პრობლემურ საკითხებზე, *inter alia*, გადასახადებთან, ქონების საკითხებთან, განათლებასთან ან რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს მანდატთან დაკავშირებით.

რაც შეეხება **არასათანადო მოპყრობას**, მიღებული იქნა წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობისა თუ დასჯის წინააღმდეგ ბრძოლის სამოქმედო გეგმა (2017-2018 წლებისათვის). შემცირდა სასჯელაღსრულების სისტემაში არასათანადო მოპყრობის შემთხვევები: ამ სისტემაში ასეთი შემთხვევები ნაკლებად ხდებოდა, ვიდრე პოლიციის თანამშრომლების მხრიდან არასათანადო მოპყრობის შემთხვევები. იუსტიციის სამინისტრომ წარმოადგინა კანონპროექტი დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შესახებ, მაგრამ მისი მიღება გადაიდო სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეს შორის აზრთა სხვადასხვაობის გამო. 2017 წლის იანვარში ძალაში შევიდა სტამბოლის ოქმი (სახელმძღვანელო წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა თუ დასჯის ეფექტიანი გამოძიებისა და დოკუმენტირების შესახებ). თანდათანობით ხდება პოლიციის უბნებისა და დაკავების დაწესებულებების აღჭურვა გარე და შიდა სამეთვალყურეო საშუალებებით არასათანადო მოპყრობის პრევენციული ზომის სახით.

რაც შეეხება **ბავშვთა უფლებებს**, ბავშვთა სიღარიბე კვლავ ფართოდ არის გავრცელებული. 2017 წლის მდგომარეობით, ბავშვთა ქორწინება უკანონოდ არის ცნობილი. მიღებული იქნა კანონი შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ, რომელიც კრძალავს ბავშვის პირდაპირ შვილად აყვანას და ადგენს მშვილებლებისა და აღმზრდელების სავალდებულო მომზადებას, ასევე ბავშვის საერთაშორისო გაშვილების პროცედურებს „ბავშვთა საერთაშორისო გაშვილების შესახებ“ ჰააგის კონვენციის შესაბამისად. 2016 წლის დეკემბერში ჩამოყალიბდა ბავშვის უფლებათა კონვენციის განხორციელების სამინისტროთაშორისო საბჭო. არ დასრულებულა ბავშვებზე ზრუნვის დეინსტიტუციონალიზაცია; ჯერ კიდევ მოქმედებს ორი დიდი დაწესებულება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებისათვის. ასევე სათანადო მონიტორინგის გარეშე ფუნქციონირებს

რამდენიმე არარეგულირებული დაწესებულება, რომლებსაც აფინანსებენ და მართავენ ადგილობრივი მუნიციპალიტეტები, საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია და მუსლიმთა თემები.

2017 წლის მსოფლიოს *პრესის თავისუფლების* ინდექსის მიხედვით საქართველო 180 ქვეყნიდან 64-ე ადგილზე რჩებოდა. მიუხედავად იმისა, რომ მედიაგარემო პოლარიზებულია, იგი დინამიური და პლურალისტურია. სამართლებრივი ბრძოლები სატელევიზიო არხების საკუთრებასთან დაკავშირებით კვლავ საფუძვლად უდევს პოლიტიკურ დავას მედიის პლურალიზმსა და სასამართლო სისტემაზე პოტენციური პოლიტიკური ზეწოლის შესახებ. სატელევიზიო არხი „რუსთავი-2“-ის საქმეს ამჟამად ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო განიხილავს.

საქართველომ განახორციელა შემდგომი ზომები *საჯარო მმართველობის სისტემის რეფორმასთან* დაკავშირებით ევროკავშირის საჯარო მმართველობის პრინციპების შესაბამისად. განხორციელების პროცესშია 2015 წელს მიღებული საჯარო მმართველობის რეფორმის გზამკვლევი და 2015 წლის პოლიტიკის დაგეგმვის სისტემის რეფორმის სტრატეგია. „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონი, რომელიც ითვალისწინებს პროფესიონალიზმზე დამყარებულ საჯარო სამსახურს, ექვსი თვის დაგვიანებით, 2017 წლის მეორე ნახევარში ამოქმედდა.

რაც შეეხება *კორუფციის პრევენციას და მის წინააღმდეგ ბრძოლას*, 2016 წელს „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ კორუფციის აღქმის ინდექსის მიხედვით საქართველო 176 ქვეყნიდან 44-ე ადგილზე იყო (2015 წელს საქართველოს 48-ე ადგილი ეკავა). საქართველო აგრძელებდა ანტიკორუფციული სტრატეგიისა და მისი სამოქმედო გეგმის განხორციელებას ასოცირების დღის წესრიგით განსაზღვრული ვალდებულებების შესაბამისად. აღნიშნული პოლიტიკის შედეგები საერთაშორისო რეიტინგებში განუხრელად მაღალი მაჩვენებლებით არის ასახული. 2017 წლის 26 სექტემბერს მთავრობამ მიიღო განახლებული ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგია და ახალი ანტიკორუფციული სამოქმედო გეგმა 2017-2018 წლებისათვის. 2017 წლის იანვრისთვის საქართველომ შემოიღო საჯარო მოხელეების მიერ წარდგენილი ქონების დეკლარაციების მონიტორინგის სისტემა.

## 2.2. საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საქართველო მიუერთდა 11-ს ევროკავშირის დეკლარაციებიდან და საბჭოს გადაწყვეტილებებიდან - მას შესთავაზეს მიერთებოდა 22 ზემოაღნიშნულ დოკუმენტს (50%-იანი შესაბამისობა), რაც ოდნავ დაბალი მონაცემია წინა საანგარიშო პერიოდთან შედარებით. საქართველო კვლავ მონაწილეობდა სამოქალაქო და სამხედრო კრიზისების მართვის ოპერაციებში *საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის* ფარგლებში. 2017 წლის

თებერვალში იგი შეუერთდა ევროკავშირის სამხედრო საწვრთნელ მისიას (EUTM) ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში და კვლავ ჰყავდა წარგზავნილი ერთი ოფიცერი ევროკავშირის სამხედრო საწვრთნელ მისიაში მალიში.

რაც შეეხება **ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლას**, საქართველო აგრძელებდა ISIS-ის წინააღმდეგ გლობალური კოალიციის მხარდაჭერას და იყო გაერო-ს გენერალური ასამბლეის №71/248 რეზოლუციის (რომლის საფუძველზე დაარსდა 2011 წლის შემდეგ სირიაში ჩადენილ დანაშაულებთან დაკავშირებული ანგარიშვალდებულების საერთაშორისო მექანიზმი) თანაინიციატორი. **მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელებისა და უკანონო იარაღის ექსპორტის წინააღმდეგ ბრძოლის** სფეროში დაგეგმილია ცვლილება სისხლის სამართლის კოდექსში, რომლის საფუძველზე უნდა მოხდეს ქიმიური იარაღის შესახებ კონვენციის გადმოტანა ქართულ კანონმდებლობაში. 2016 წელს იარაღით ვაჭრობის შესახებ შეთანხმებასთან მიერთების შემდეგ საქართველომ 2017 წლის აგვისტოში წარმოადგინა თავისი პირველი ანგარიში. საქართველო კვლავ მასპინძლობს ევროკავშირის ქიმიური, ბიოლოგიური, რადიოლოგიური და ბირთვული რისკების შემცირების რვა ცენტრიდან ერთს და ევროკავშირს აძლევს შესაძლებლობას, მნიშვნელოვანი ინვესტირება განახორციელოს მის სამეზობლოში არსებულ ქვეყნებში, ასევე სხვა ქვეყნებშიც ქიმიური, ბიოლოგიური, რადიოლოგიური და ბირთვული რისკებისადმი მზადყოფნის თვალსაზრისით.

**კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარების საკითხთან დაკავშირებით** ევროკავშირი კვლავ სრულ მხარდაჭერას უწევს საქართველოს სუვერენიტეტს და ტერიტორიულ მთლიანობას საერთაშორისო მასშტაბით აღიარებულ მის საზღვრებში. ევროკავშირი ასევე აქტიურად უჭერს მხარს კონფლიქტების მოგვარების მცდელობებს სამხრეთი კავკასიისა და საქართველოს კრიზისის საკითხებში ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლის და ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის, ასევე სტაბილურობისა და მშვიდობის ხელშემწყობი ინსტრუმენტის მეშვეობით. საქართველო კვლავ ჩართული იყო ქენევის საერთაშორისო დისკუსიებში. ქმედითად აგრძელებდა მუშაობას ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმები (IPRM), რომლებიც 2009 წელს დაარსდა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სეპარატისტული რეგიონების თემებში არსებული რისკებისა და უსაფრთხოების საკითხების განსახილველად. ეფექტიანად მოქმედებდა ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ცხელი ხაზი. ეს ძალზე მნიშვნელოვანი ინსტრუმენტებია ადგილობრივი უსაფრთხოების საკითხების მოსაგვარებლად და მხარეებს შორის ნდობის აღდგენის ხელშესაწყობად.

2017 წლის 25 ივლისს საქართველომ ხელი მოაწერა თანამშრომლობის შეთანხმებას **სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს** გამწესრიგებელთან, რომელშიც განსაზღვრულია საქართველოს ვალდებულებები 2008 წლის 1 ივლისსა და 10 ოქტომბერს შორის პერიოდში საქართველოში, სამხრეთ ოსეთში და მის მახლობლად განლაგებული მთელი შეიარაღებული ძალების მიერ სავარაუდოდ



ჩადენილი კაცობრიობის წინაშე და ომის დანაშაულების მიმდინარე გამოძიების ფარგლებში.

### 2.3 მართლმსაჯულება, თავისუფლება და უსაფრთხოება

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მიერ ბიზნესის კეთების აღქმასთან დაკავშირებით ჩატარებული ბოლოდროინდელი კვლევის მიხედვით,<sup>3</sup> საქართველოში სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის აღქმული დონე საშუალოზე მაღალია, თუმცა იკლებს.

2016 წლის დეკემბერში მიღებული იქნა საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი *სასამართლო სისტემის რეფორმების* მე-3 ტალღის ფარგლებში. კერძოდ, ცვლილებები ეხებოდა სასამართლოს ყველა გადაწყვეტილების გამოქვეყნებას, საქმეების შემთხვევითი პრინციპის მიხედვით ელექტრონული განაწილების თანდათანობით შემოღებას, მოსამართლეობის კანდიდატების შერჩევას და დისციპლინურ პროცედურებს (დაარსდა ინსპექტორი-გამომძიებლის ინსტიტუტი). ცვლილებები არ შეხებია დიდი ხნის განმავლობაში აქტუალურ სხვა საკითხებს, მათ შორის პრობაციის პერიოდის გამოყენებას.

2017 წლის მაისში იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ მიიღო სასამართლოების სისტემის პირველი ყოველმხრივი სტრატეგია და მისი ხუთწლიანი სამოქმედო გეგმა. ამ დოკუმენტებში დამოუკიდებლობის, ანგარიშვალდებულების, ხარისხისა და ეფექტიანობის, ასევე მართლმსაჯულებაზე წვდომის შესახებ თავებში ჩამოყალიბებულია ხედვა და კონკრეტული ზომები და ინდიკატორები. რაც შეეხება *მართლმსაჯულებაზე წვდომას*, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოსამართლეებისა და სასამართლოების თავმჯდომარეების დანიშვნასთან დაკავშირებით შემოღებულ პროცედურებში, ასევე დისციპლინურ პროცედურებში არ არის სრული გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება. ახალმა კონსტიტუციამ შემოიღო უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა დანიშვნა პარლამენტის მიერ, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მხრიდან დასახელების შემდეგ, ასევე შემოიღო უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა თანამდებობაზე უვადოდ განწესება. 2017 წლის იანვარში ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, რომელიც თბილისის საქალაქო სასამართლოში 2010 წელს იქნა დანერგილი, საქართველოს სხვა რეგიონებშიც და უფრო მეტი ტიპის დანაშაულისთვის შემოიღეს.

გრძელდებოდა 2016 წელს მიღებული *არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის* განხორციელება, თუმცა გამოსასწორებელია ზოგიერთი საკანონმდებლო ნაკლოვანება, მათ შორის მოწმე ბავშვებისთვის უფასო იურიდიული დახმარების უზრუნველყოფის საკითხი. 2016 წელს პირველად განრიდებული ბავშვების რაოდენობამ გადააჭარბა პასუხისგებაში მიცემული ბავშვების რიცხვს.

<sup>3</sup> მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მსოფლიო კონკურენტუნარიანობის შესახებ 2016-2017 წლების ანგარიშში საქართველო 138 ქვეყნიდან 63-ე ადგილზეა.

ალტერნატიული სანქციების უფრო ფართოდ გამოყენების შედეგად განუხრელად მცირდებოდა როგორც წინასწარ პატიმრობაში მყოფი ბავშვების, ისე მსჯავრდებულის ბავშვების რაოდენობა

**თავისუფლების აღკვეთის** მაჩვენებელი (257 პატიმარი 100 000 მოსახლეზე) მაღალია. თითქმის ყველა დაწესებულებაში პატიმრებისთვის განათლებისა და დასაქმების შესაძლებლობები კვლავ შეზღუდულია. 2017 წლის მაისში პარლამენტმა პირველი წაკითხვით მიიღო საკანონმდებლო პაკეტი, რომელიც ითვალისწინებს რიგ ცვლილებებს პატიმართა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, მაგალითად, ახალი დაწესებულების დაარსებას გათავისუფლებისთვის პატიმართა მოსამზადებლად, შინაპატიმრობის უფრო მეტად გამოყენებას და ნაკლებად სახიფათო და მალე გასათავისუფლებელი პატიმრებისათვის განათლების მეტ შესაძლებლობებს.

2017 წლის დასაწყისში მიღებული იქნა **პროკურატურის** სტრატეგია, ეთიკის ახალი კოდექსი და პროკურორთა შეფასების სისტემა. ახლა უნდა შემუშავდეს შესაბამისი სამოქმედო გეგმები და მართვისა და მონიტორინგის ინსტრუმენტები. დაგეგმილია დამსახურებაზე დაფუძნებული წახალისების (დაწინაურება, ხელფასის გაზრდა და ა.შ.) გამჭვირვალე სისტემის შემუშავება. კონსტიტუციაში ცვლილებებმა კიდევ უფრო მეტად უნდა გაზარდოს პროკურატურის დამოუკიდებლობა იუსტიციის სამინისტროსგან.

იუსტიციის სამინისტრომ დაიწყო მუშაობა სპეციალიზებული კომერციული პალატების შექმნაზე ბიზნესის სფეროს წარმომადგენლებისგან მზარდი რაოდენობის კომერციული დავებისა და უთანხმოებების განსახილველად. შემუშავდა კომპანიების შესახებ ახალი კანონპროექტი. და მიუხედავად ბიზნესის კეთების ინდექსში მაღალი (მე-16) ადგილისა, საქართველოს კანონმდებლობაში ჯერ კიდევ არ შედის სრულყოფილად ჩამოყალიბებული გადახდის უუნაროდ აღიარების პროცედურა (2017 წელს ამ კონკრეტული ინდიკატორისთვის ქვეყანა 106-ე ადგილზეა).

**მიგრაციის** სფეროში საქართველომ 2017 წლის 28 მარტს მიიღო შენგენის სივრცეში მოკლევადიანი ვიზიტებისთვის უვიზო მიმოსვლის უფლება (უფრო დაწვრილებით იხ. მე-5 თავი). საქართველომ აგრძელებდა მიგრაციის სტრატეგიისა და მისი სამოქმედო გეგმის განხორციელებას, ასევე მიგრაციის ერთიანი ანალიტიკური სისტემის დანერგვას. **თავშესაფრის** სფეროში 2016 წლის 1 დეკემბერს საქართველომ მიიღო ახალი კანონი საერთაშორისო დაცვის შესახებ, რომელმაც სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის განხორციელების პროცესში მიღებულ რეკომენდაციებზე დაყრდნობით ჩაანაცვლა წინა კანონი ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსის შესახებ. საანგარიშო პერიოდში თავშესაფრის შესახებ იმ განაცხადების რაოდენობა, რომლებზეც განმცხადებლებს უარი ეთქვათ სახელმწიფო უშიშროების მიზეზით, გაიზარდა (2017 წელს ყველა უარის 26%, განსხვავებით 5%-ისგან 2016 წელს).

**საზღვრების მართვა** კიდევ უფრო გაუმჯობესდა თურქეთთან მწვანე საზღვარზე საზღვრის ოთხი სექტორის რეაბილიტაციის, უსაფრთხოებისა და მეთვალყურეობის ინფრასტრუქტურის გაფართოების, ასევე აზერბაიჯანთან მწვანე საზღვარზე საზღვრის ოთხი სექტორის შესაძლებლობების გაძლიერების შედეგად (სახელმწიფო საზღვრის მართვის 2014-2018 წლების სტრატეგიისა და სასაზღვრო პოლიციის უნიფიკაციის, მოდერნიზაციისა და სტანდარტიზაციის ხუთწლიანი გეგმის საფუძველზე).

**ორგანიზებული დანაშაულის და სხვა უკანონო საქმიანობის** წინააღმდეგ საბრძოლველად საქართველომ 2017 წლის 5 მაისს მიიღო ახალი, 2017-2020 წლების ეროვნული სტრატეგია ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ საბრძოლველად და მისი სამოქმედო გეგმა 2017-2018 წლებისათვის. აღნიშნული დოკუმენტები ფოკუსირებულია „კანონიერ ქურდებთან“, ნარკოტიკების ტრანზიტთან და კიბერდანაშაულთან ბრძოლაზე და ითვალისწინებს პოლიციის მუშაობას ანალიზის საფუძველზე და ასევე პოლიციის მუშაობას საზოგადოებასთან თანამშრომლობაზე დაყრდნობით. 2016 წელს მიღებული იქნა ახალი, 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმა ადამიანებით ტრეფიკინგთან ბრძოლის სფეროში. **ნარკოტიკებით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის** სფეროში 2016 წლის დეკემბერში მიღებული იქნა ახალი ეროვნული სამოქმედო გეგმა, ხოლო 2017 წლის 26 ივლისს პარლამენტმა მიიღო სისხლის სამართლის კოდექსის, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსისა და ნარკოტიკული საშუალებების შესახებ კანონის ცვლილებები.

რაც შეეხება **ფულის გათეთრებისა** და ტერორიზმის დაფინანსების საწინააღმდეგო კანონმდებლობას, საქართველოს ხელისუფლებამ მოამზადა ცვლილებები და სახელმძღვანელო მითითებები ზედამხედველი უწყებებისთვის სექტორულ განხორციელებასთან და ზედამხედველობასთან დაკავშირებით.

**პოლიციის საერთაშორისო თანამშრომლობასთან დაკავშირებით** 2017 წლის ივლისში ძალაში შევიდა ოპერატიული და სტრატეგიული თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულება საქართველოსა და ევროპის პოლიციის სამსახურს („ევროპოლს“) შორის. 2017 წლის თებერვალში ძალაში შევიდა ხელშეკრულება საქართველოსა და შვედეთს შორის სამართალდამცველი ორგანოების თანამშრომლობის შესახებ, ხოლო 2017 წლის ივნისში საბერძნეთთან ხელი მოეწერა ხელშეკრულებას დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში თანამშრომლობის შესახებ.

**მონაცემთა დაცვის** სფეროში მონაცემთა დაცვის დამოუკიდებელი სახედამხედველო ორგანო აგრძელებს ეფექტიან ფუნქციონირებას. ფარული თვალთვალის შესახებ განახლებული კანონი 2017 წლის აპრილში შევიდა ძალაში და მიზნად ისახავს ფარულ თვალთვალთან დაკავშირებული რეგულაციების

საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის გადაწყვეტილებასთან შესაბამისობის დამყარებას. ახალი კანონი საკონსტიტუციო სასამართლოშია გასაჩივრებული.

### 3. ეკონომიკური განვითარება და ბაზრის შესაძლებლობები

#### 3.1 ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები

საგარეო *ვაჭრობის* მხრივ, 2016 წელს საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ევროკავშირი იყო, რომლის წილმაც მთლიანი ვაჭრობის 30% შეადგინა (მთლიანი ექსპორტის 27% და იმპორტის 31%). 2017 წლის წინასწარი მონაცემებით ეს ტენდენცია გრძელდება, ხოლო ორმხრივი ვაჭრობის სტრუქტურა სტაბილურობას ინარჩუნებს. 2016 წელს ორმხრივი ვაჭრობა 2.52 მილიარდი ევროს ტოლი იყო. ეს 2.3%-იანი წლიური კლებაა 2015 წელთან შედარებით, რაც გამოიწვია საქართველოდან ევროკავშირში იმპორტის ღირებულების შემცირებამ (საქონელზე მსოფლიო ფასების კლებამ საქართველოს საექსპორტო ფასებზე იმოქმედა). 2017 წლის პირველ ნახევარში, 2016 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, საქართველოს იმპორტი ევროკავშირში 56%-ით, ხოლო ევროკავშირის ექსპორტი საქართველოში 2%-ით გაიზარდა. მიუხედავად ზოგ სფეროში (ზოგიერთი ვეტერინარიული ზომა, მცენარეთა დაცვა, სურსათის უსაფრთხოება და ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერები) ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებით განსაზღვრულ განრიგში არსებული დაგვიანებისა, საქართველომ 2017 წელს გაააქტიურა ვაჭრობასთან დაკავშირებულ სფეროებში კანონმდებლობის დაახლოების პროცესი. 2017 წლის მაისში საქართველომ ხელი მოაწერა თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულებას ჩინეთთან, რომელიც გააადვილებს ქართული საქონლის შეტანას ამ მნიშვნელოვან ბაზარზე.

გადაიდგა ნაბიჯები *ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების* მიმართულებით, რომლებიც მიზნად ისახავდა ხარისხის ეროვნული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას შემდეგ სფეროებში: ა) *მეტროლოგია*, რათა სათანადო მიკვლევადობა იყოს უზრუნველყოფილი; ბ) *აკრედიტაცია*, სადაც საქართველოს აკრედიტაციის ცენტრმა ხელი მოაწერა აკრედიტაციაში ევროპული თანამშრომლობის ორმხრივ ხელშეკრულებას, რაც საქართველოში გაცემული აკრედიტაციის შედეგების აღიარებას გულისხმობს; გ) *ბაზრის ზედამხედველობა*, სადაც საქართველოს მთავრობამ აიღო ვალდებულება, განსაზღვროს ის საკანონმდებლო და ინსტიტუციური ცვლილებები, რომლებიც აუცილებელია ბაზრის ზედამხედველობის ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბებისთვის. ბაზრის ზედამხედველობის გაძლიერებას 2017 წლის ბოლოსთვის ელიან გაერთიანებულ

სამეფოსა და ლიტვის საჯარო სამსახურების დაძმობილების (Twinning) პროექტის მხარდაჭერით, რომელიც ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოში ხორციელდება.

**სანიტარიული და ფიტოსანიტარიული სტანდარტების** მხრივ, სურსათის ეროვნული სააგენტო აგრძელებდა ინსტიტუციური განვითარების პროცესს სურსათის ეროვნული სააგენტოს ახალი ინსტიტუციური განვითარების და სარეფორმო გეგმის მიხედვით. პერსონალს უტარდებოდა ინტენსიური ტრენინგები, ხოლო საკანონმდებლო დაახლოების პროცესი გეგმის შესაბამისად მიმდინარეობდა. სურსათის ეროვნული სააგენტოს და მისი ფუნქციების შესახებ საზოგადოების ინფორმირების უმჯობესდება, თუმცა ინფორმირების დონე კვლავ შედარებით დაბალია. 2016 წელს, სურსათის ეროვნული სააგენტო ევროპის და ხმელთაშუა ზღვის მცენარეთა დაცვის ორგანიზაციის წევრი გახდა, რამაც სურსათის ეროვნული სააგენტოს 2017 წლის ფიტოსანიტარიული კონტროლის პროგრამის გაუმჯობესება მოიტანა. 2017 წლის ივნისში, ევროკომისიამ, თაფლისა და მატყლის შემდეგ, ქართული წარმოშობის შავი ზღვის თევზის პროდუქტები შეიტანა ევროკავშირის ბაზარზე დასაშვები საექსპორტო პროდუქტების სიაში. ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების თანახმად, სანიტარიული და ფიტოსანიტარიული სტანდარტების ქვეკომიტეტმა სანიტარიული და ფიტოსანიტარიული სტანდარტების დანართი (დანართი XI-B) 2017 წლის მარტში მიიღო. სანიტარიული და ფიტოსანიტარიული სტანდარტების ერთობლივად შეთანხმებული ეს გზამკვლევი საბაზისო დოკუმენტი იქნება, რომელთან შედარებითაც შეფასდება ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების იმ თავის განხორციელება, რომელიც სანიტარიულ და ფიტოსანიტარიულ სტანდარტებს ეხება.

რაც შეეხება **საბაჟოსა და ვაჭრობის ხელშეწყობას**, ამჟამად მიმდინარეობს ახალი საბაჟო კოდექსის შესწორებული პროექტზე კონსულტაციის პროცესი ევროკომისიასა და დაინტერესებული მხარეებთან. საქართველო ასევე მიუერთდა პან-ევრო-ხმელთაშუა ზღვის პრეფერენციული წარმოშობის წესების შესახებ რეგიონულ კონვენციას როგორც ხელშემკვრელი ქვეყანა, რამაც გზა გაუხსნა კუმულაციური წარმოშობის წესების ამოქმედებას ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების ფარგლებში. საქართველო ახორციელებს შესაბამის საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ და ტექნიკურ რეფორმებს, რათა მიუერთდეს ევროკავშირის კონვენციას ტრანზიტის საერთო პროცედურის შესახებ და კონვენციას საქონლით ვაჭრობაში ფორმალობების გამარტივების შესახებ. ამ ძალისხმევაში ქვეყანას ევროკავშირის საჯარო

სამსახურების დადმოხილების (Twinning) პროექტი დაეხმარება ევროკავშირის წესებთან შესაბამისი ახალი კანონმდებლობა ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ზომებზე. საქართველომ 2016 წლის იანვარში მოახდინა „ცვლილების ოქმის“ რატიფიცირება, რომლითაც მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის შეთანხმების დანართი 1A შესწორდა „ვაჭრობის ხელშეწყობის შესახებ შეთანხმების“ ჩამატებით და ახლა ქვეყანა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ამ შეთანხმების წევრია.

**მომსახურების** ნაწილში, საქართველომ ვალდებულება აიღო, ნაბიჯ-ნაბიჯ (4-დან 8 წლამდე პერიოდის განმავლობაში) დაუახლოოს ეროვნული კანონმდებლობა ევროკავშირის კანონმდებლობას მომსახურების 4 სექტორში: (1) საფოსტო და საკურიერო მომსახურება, (2) ტელეკომუნიკაციები, (3) ფინანსური მომსახურება და (4) საერთაშორისო საზღვაო ტრანსპორტი. უფრო მოკლე ვადები განისაზღვრა ევროკავშირის 2 დირექტივასთან საკანონმდებლო დაახლოებისთვის - ფულის გათეთრება (2 წელი) და სატელეკომუნიკაციო მომსახურება (3 წელი). საქართველო აგრძელებს საფოსტო მომსახურების შესახებ კანონმდებლობის მიღების პროცესს. მისი მთავარი მიზანია, შეიქმნას მარეგულირებელი ჩარჩო და განისაზღვროს დაფინანსება უნივერსალური მომსახურების უზრუნველსაყოფად. შემოთავაზებული კანონით უნივერსალური მომსახურება 5 წლის განმავლობაში დაფინანსდება გარკვეულ სერვისებზე მონოპოლიის შექმნის (მოქმედი ოპერატორისთვის) გზით.

რაც შეეხება **ციფრულ ეკონომიკას და საზოგადოებას**, მთავრობა აგრძელებდა ევროკავშირის ერთიან ციფრულ ბაზართან თანმიმდევრულ ინტეგრაციას, რათა მოეხდინა ეკონომიკური და ბიზნესის შესაძლებლობების პოპულარიზება. 2017 წლის აპრილში პარლამენტმა მიიღო კანონი ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ, რომელიც შესაბამისობაშია ელექტრონული იდენტიფიკაციის და სანდო სერვისების შესახებ ევროკავშირის რეგულაციასთან.

**სახელმწიფო შესყიდვების** სფეროში მთავრობამ და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ საგზაო რუკა შეიმუშავეს, რომელიც ითვალისწინებს 2022 წლამდე ამ სფერო კანონმდებლობის ჰარმონიზაციას ხუთ ეტაპად. ევროკავშირი ჯერ კიდევ განიხილავს ამ საგზაო რუკას საქართველოს ხელისუფლებასთან. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ, ეკონომიკურად ყველაზე ხელსაყრელი ტენდერის კრიტერიუმების გამოყენებით, 2016 წლის მარტში შემოიღო ღია ტენდერი აუქციონის გარეშე და ორეტაპიანი ტენდერი, ხოლო ახლა ის მუშაობს

ელექტრონული შესყიდვების სისტემაში ელექტრონული კატალოგის შექმნაზე. 2017 წლის პირველ ნახევარში 600-ზე მეტმა საჯარო მოხელემ გაიარა ტრენინგი სახელმწიფო შესყიდვებში. სახელმწიფო შესყიდვების პროცედურებში მონაწილეთა რაოდენობის გასაზრდელად რეგულარულად იმართებოდა შეხვედრები ბიზნესის წარმომადგენლებთან. დაგეგმილი მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტების ფარგლებში მზადდება ახალი კანონი საჯარო და კერძო სექტორების პარტნიორობების შესახებ.

*ინტელექტუალური საკუთრების უფლებებთან* დაკავშირებით, საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულმა ცენტრმა - „საქპატენტმა“ კონსულტაციები გამართა ინტელექტუალური საკუთრების უფლებების კანონმდებლობაში შესატანი ცვლილებების პაკეტზე; ეს პაკეტი ევროკავშირის სტანდარტებთან დაახლოების მიზნით მომზადდა, რასაც ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება ითხოვს. 2016 წლის ბოლოს საქართველომ და ევროკავშირმა განაახლეს ქართული გეოგრაფიული აღნიშვნების სია, რომელიც ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებაში იყო შეტანილი. სიაში შეტანილი იქნა ყველის 12 სახეობა, ხოლო სიაში უკვე არსებულ ღვინის 18 გეოგრაფიულ აღნიშვნას, ერთი ალკოჰოლური სასმელის აღნიშვნები დაემატა.

რაც შეეხება *ვაჭრობას და მდგრად განვითარებას*, შრომის ინსპექციის არსებული სისტემა ჯერჯერობით არ იძლევა შრომის უფლებების შესახებ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ძირითადი კონვენციების განხორციელების შესაძლებლობას.

ევროკავშირის ტექნიკური დახმარებით საქართველო აგრძელებს *კონკურენციაზე* ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების დებულებებთან დაახლოებას, რა დროსაც ფოკუსი კეთდება კანონის აღსრულებაზე, კონკურენციის სააგენტოსა და სექტორის მარეგულირებლებს შორის თანამშრომლობაზე და კონკურენციის საჯარო კულტურის ხელშეწყობაზე.

### 3.2 ეკონომიკური განვითარება<sup>4</sup>

საქართველოს *მაკროეკონომიკური* მდგომარეობა მოქნილად რეაგირებდა გარე შოკებზე, რომლებსაც 2014 წლის ბოლოდან განიცდის. მოელიან, რომ მთავრობის მიერ სტრუქტურული რეფორმების განხორციელების გაგრძელებით შეიქმნება

<sup>4</sup> საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები.

ხელსაყრელი გარემო კერძო ინვესტიციებისთვის, გაიზრდება პროდუქტიულობა და გაუმჯობესდება საექსპორტო კონკურენტუნარიანობა. 2017 წლის პროგნოზით მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) 2016 წლის 2.7%-დან 3.5%-მდე<sup>5</sup> გაიზრდება, რასაც ხელს შეუწყობს მოხმარება, ინვესტიციები და რეგიონული და გლობალური ეკონომიკური ზრდის ტემპის მატება. თუმცა, ამ პერსპექტივას საფრთხეს მიმდინარე ფისკალურ კონსოლიდაციასთან დაკავშირებული რისკი უქმნის, რამაც შეიძლება შეასუსტოს ადგილობრივი მოთხოვნა და გაზარდოს პოლიტიკური არასტაბილურობა, პროტექციონიზმი და მერყეობა ფინანსურ ბაზრებზე. დიდი და მზარდი მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი (მშპ-ის 12.4% 2016 წელს და მშპ-ის 12.9%-იანი პროგნოზი 2017 წელს) საფრთხის ერთ-ერთი მთავარი წყაროა. იგივე შეიძლება ითქვას საქართველოს საერთაშორისო რეზერვებზე, რომლებიც ახლა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ პროგნოზირებად ადეკვატურ დონეზე ნაკლებია. მოსალოდნელია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მცირედი კლება - 2016 წლის მშპ-ის 11%-დან 2017 წელს მშპ-ის 10.3%-მდე. საქართველოს საგარეო ვალი, რომელიც მშპ-ის 80%-ის მიდამოებში მერყეობდა 2008-2014 წლებში, მშპ-ის 111.8%-მდე გაიზარდა 2016 წლის ბოლოს და პროგნოზის თანახმად, შემდგომშიც გაიზრდება. ვინაიდან უცხოური ვალის უდიდესი ნაწილი დოლარშია დენომინირებული, ამ ზრდას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ეროვნული ვალუტის დოლართან 22%-იანმა გაუფასურებამ 2014-2016 წლებში. საშუალო ინფლაციის (სამომხმარებლო ფასების ინდექსი) ზრდის პროგნოზი 5.7%-ია 2017 წელს. ფისკალური სიტუაცია, რომელიც 2014-2016 წლებში უარესდებოდა, 2017 წელს დასტაბილურდა აქციზის გადასახადების ზრდის და მომჭირნე ხარჯვის შედეგად; 2017 წლის საბიუჯეტო დეფიციტის პროგნოზი კი მშპ-ის 4.1%-ს შეადგენს. 2017 წლის აპრილში საერთაშორისო სავალუტო ფონდმა დაამტკიცა 285 მილიონ აშშ დოლარის ღირებულების სამწლიანი პროგრამა გაფართოებული დაფინანსების მექანიზმის ფარგლებში, რამაც ჩაანაცვლა 2014 წლის სარეზერვო დაფინანსების მექანიზმის პროგრამა. 2017 წლის ივნისში საქართველომ ასევე ახალი მაკროფინანსური დახმარება სთხოვა ევროკავშირს. 2017 წლის 29 სექტემბერს ევროკომისიამ ქვეყანას შესთავაზა ასეთი პროგრამა 45 მილიონი ევროს ფარგლებში (10 მილიონამდე ევრო გრანტების სახით და 35 მილიონამდე ევრო სესხის სახით).

**ბიზნესგარემოს** საერთაშორისო ინდიკატორებით საქართველო კვლავ მოწინავე ადგილი უკავია. გატარებული იქნა ზომები საგადასახადო რეჟიმის, ბიზნესის მმართველობის და დაფინანსებასა და ინოვაციურ ტექნოლოგიებთან წვდომის

<sup>5</sup> 2017 წლის 9 ოქტომბერს საერთაშორისო სავალუტო ფონდმა აღმავალი მიმართულებით შეასწორა საქართველოს 2017 წლის პროგნოზი - 3.5%-დან 4.3%-მდე.



გაუმჯობესებისთვის, რათა შენარჩუნებულიყო ბიზნესისთვის ხელსაყრელი ჩარჩო. მთავარი სტრუქტურული და ინსტიტუციური რეფორმებისადმი ევროკავშირის მხარდაჭერის ფარგლებში მუშავდება ახალი პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს კომერციული სამართლის გაუმჯობესებას, გადახდისუნარიობის პროცედურების გაძლიერებას, ფინანსური ინფრასტრუქტურის მოდერნიზებას, საწარმოო გაერთიანებებისა და პროდუქციის ღირებულებათა ჯაჭვის შექმნას და ინკუბატორების დახმარებას.

*სოფლის მეურნეობაში* სასოფლო-სამეურნეო ექსტენციის ეროვნული სტრატეგიის დასრულებას 2017 წლის სექტემბერში ვარაუდობენ. 2017 წლის 1 ივნისს პარლამენტმა მიიღო კანონი თესლის სავალდებულო სერტიფიცირების შესახებ. ეს კანონი საერთაშორისო სტანდარტებს შეესაბამება და საფუძველს კარგად რეგულირებადი მეთესლეობის სექტორისთვის, რათა სტიმული შეუქმნას თესლის მწარმოებლებს მოიყვანონ და გაყიდონ თესლი საქართველოში და დაიცვან ფერმერებისა და თესლის მწარმოებლების ინტერესები. 2016 წელს 25%-ით შემცირდა სავაჭრო დეფიციტი სოფლის მეურნეობის საკვებ პროდუქტებში, რაც გამოიწვია სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ექსპორტის ღირებულების მნიშვნელოვანმა ზრდამ და საკვები პროდუქტების იმპორტის ღირებულების მცირედმა კლებამ. საქართველო აგრძელებს საექსპორტო ბაზრების დივერსიფიკაციას ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებით შემოთავაზებული ახალი სავაჭრო შესაძლებლობების გათვალისწინებით. გრძელდება კოოპერატივის განვითარება.

2016 წლის დეკემბერში საქართველომ დაამტკიცა *სოფლის განვითარების* სტრატეგია 2017-2020 წლებისთვის, რომლის მიზანიც სოფლის მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის და სოციალური პირობების გაუმჯობესებაა ეკონომიკური შესაძლებლობების ზრდის, სოციალური სიკეთეების უკეთესი ხელმისაწვდომობის, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური მართვის მეშვეობით. სოფლის განვითარების 2017 წლის სამოქმედო გეგმის მიღების შემდეგ, მთავრობა 2018-2020 წლების გეგმაზე მუშაობს, რომელიც 2017 წლის ბოლოს დამტკიცდება. გეგმის განხორციელებას ზედამხედველობას უწევს სოფლის განვითარების უწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭო, რომელსაც სოფლის მეურნეობის სამინისტრო ხელმძღვანელობს.

*რეგიონული განვითარების* სფეროში საქართველო აგრძელებს თავისი პირველი, 2015-2017 წლების მულტისექტორული რეგიონული განვითარების პროგრამის განხორციელებას. რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

„რეგიონული უთანაბრობების ანგარიშის“ განახლებულ პროექტზე მუშაობს, რათა განსაზღვროს ძირითადი საჭიროებები და შესაძლებლობები, და ასევე მართავს კონსულტაციებს შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან შემდგომი პროგრამის მოსამზადებლად.

რაც შეეხება *საჯარო ფინანსების მართვას, კონტროლსა და აუდიტს*, პოლიტიკის შემუშავების საკითხებზე ევროკავშირთან აქტიური დიალოგისა და თანამშრომლობის შედეგად მთავრობამ პირველად 2017 წელს მოამზადა ფისკალური პოლიტიკის მდგრადობის ანალიზი. ფინანსთა სამინისტრო აგრძელებდა ბიუჯეტში გასათვითცნობიერებლად „მოქალაქის გზამკვლევის“ შემუშავებას, რათა უკეთ განმარტოს სამთავრობო პოლიტიკები და შემოსავლებისა და ხარჯების სფეროებზე განაწილება. დარგობრივი სამინისტროები ახორციელებდნენ სამთავრობო სტრატეგიით გათვალისწინებულ ფინანსური მართვისა და კონტროლის ზომებს: 8 სამინისტრომ ორგანიზაციული სტრუქტურა შეცვალა და შესაბამის პერსონალს ტრენინგი ჩაუტარა. პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტმა გააუმჯობესა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ანგარიშებზე რეაგირება დროულობის, რეგულარულობის და ანგარიშვალდებულების კუთხით. სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა საქმიანობის აუდიტის ჩატარების და სამთავრობო პროგრამების ეფექტურობისა და ეფექტიანობის შესახებ საჯარო ანგარიშგების შესაძლებლობები აიმაღლა, რითიც სახელმწიფო მართვის და ანგარიშგების მეტ გამჭვირვალობას შეუწყო ხელი.

*საგადასახადო სისტემის* მიმართულებით, 2017 წლის იანვრიდან ამოქმედდა მოგების გადასახადის ახალი რეჟიმი, რომლის მიხედვითაც მხოლოდ განაწილებული მოგება იბეგრება, ხოლო რეინვესტირებული ან გაუნაწილებელი მოგება ბეგარისგან თავისუფლდება. გაიზარდა რამდენიმე არაპირდაპირი გადასახადის და აქციზის განაკვეთები რეფორმით გამოწვეული საბიუჯეტო შემოსავლის კომპენსირების მიზნით, რომელიც მშპ-ის 1.5%-ს შეადგენს. 2017 წლის მაის-ივნისში პარლამენტმა დაამტკიცა დამატებითი ცვლილებები საგადასახადო კოდექსში. ზოგიერთი ცვლილება ევროკავშირის შესაბამის დირექტივებთან დაახლოებას ემსახურება. საქართველოს საგადასახადო სამსახური ასრულებს მუშაობას 2017-2020 წლების სტრატეგიულ გეგმაზე, რომელიც საერთაშორისო სავალუტო ფონდის საგადასახადო ადმინისტრაციის დიაგნოსტიკური შეფასების ინსტრუმენტს და 2017 წლის სახელმწიფო ხარჯების და ფინანსური ანგარიშვალდებულების (PEFA) შეფასები შედეგებს ეფუძნება.

*სტატისტიკის* მიმართულებით, საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა („საქსტატი“) გააგრძელა ადვილად გასაგები და განახლებული

სტატისტიკური ინფორმაციის მომხმარებლებისთვის მიწოდება. 2016 დეკემბრის მდგომარეობით, „საქსტატს“ ჰქონდა განახლებული ვებგვერდი, მათ შორის რუკა, რომელიც მოიცავს საქართველოს კონკრეტული რეგიონების ამსახველ დეტალურ სტატისტიკურ მონაცემებს. 2017 წელს, სამუშაო ძალის სტატისტიკის ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისად, „საქსტატმა“ სამუშაო ძალის კვლევა, რომელიც მანამდე შინამეურნეობათა ინტეგრირებული კვლევის შემადგენელი ნაწილი იყო, ცალკე გამოყო. 2017 წლის მარტში, ბიზნესის სტატისტიკაზე „სექტორის მიმოხილვაში“ მოცემული „ევროსტატის“ რეკომენდაციების შესაბამისად, დაინერგა ახალი მეთოდოლოგია, რომელიც ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისად განსაზღვრავს საწარმოების კლასიფიკაციას მათი ზომების მიხედვით. საკმაოდ გაუმჯობესდა ასევე დოკუმენტაციის ხარისხი.

*სამრეწველო და საწარმოო პოლიტიკის* მიმართულებით, 2017 წლის აპრილში სახელწოდებით „აწარმოე საქართველოში“ მთავრობამ რამდენიმე პროექტის განხორციელება დაიწყო, რომლებიც მიზნად ისახავს მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისთვის მთავრობის საკონსულტაციო და დახმარების სერვისების ჰარმონიზებას, განსაკუთრებით ბიზნესის სფეროს იმ შესაძლებლობებთან დაკავშირებით, რომლებსაც ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე ითვალისწინებს. მთავრობა ასევე გეგმავს „ბიზნეს სახლის“ შექმნას, რომელიც ერთი ფანჯრის პრინციპით იმუშავებს. ამავე დროს, ახლად ამოქმედებული ვებგვერდი<sup>6</sup> მოიცავს ღრმა და ყოვლისმომცველ თავისუფალ სავაჭრო სივრცესთან დაკავშირებულ ყველა საკითხს და ასევე, წარმოადგენს პლატფორმას, რომლითაც მეწარმეებს და ფართო საზოგადოებას შესაძლებლობა აქვს ქართულ და ინგლისურ ენებზე გაცვალოს ინფორმაცია პრაქტიკულ, იურიდიულ და სხვა რელევანტურ საკითხებზე. ამ ინიციატივას აძლიერებს ევროპის მეწარმეთა ქსელი,<sup>7</sup> რომელიც ხელს უწყობს მეწარმეების და მცირე და საშუალო ბიზნესის მცდელობას საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოსა და მეწარმეობის განვითარების სააგენტოსთან პარტნიორობით გავიდნენ უცხოეთის ბაზრებზე. ასევე, თბილისსა და საქართველოს 4 რეგიონში არსებობს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის საინფორმაციო ცენტრები. ევროკავშირის და სხვა დონორების დახმარებით მზადდება მცირე და საშუალო ბიზნესის სტრატეგიის განახლებული სამოქმედო გეგმა, რომელიც მოიცავს პროდუქციის და შედეგების ინდიკატორებს.

*სამომხმარებლო პოლიტიკის* მიმართულებით პარლამენტი ისევ აგრძელებს მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ 2015 წელს ინიცირებული კანონპროექტის შესწავლას, თუმცა ხელშესახები პროგრესის გარეშე.

<sup>6</sup> [www.dcfita.gov.ge](http://www.dcfita.gov.ge)

<sup>7</sup> <http://een-georgia.ge/>

**საზღვაო საკითხების** თვალსაზრისით, 2017 წლის იანვარში შეიქმნა უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფი საზღვაო საკითხების კოორდინირებისთვის, რომლის ამოცანაცაა საზღვაო საკითხების მართვის გაუმჯობესება ქვეყანაში და საქართველოს ჰარმონიზება ევროკავშირის ინტეგრირებულ საზღვაო პოლიტიკასთან. ასევე, წყლის რესურსების მართვის სამსახური მუშაობს საზღვაო სივრცის შესახებ კანონში შესატან ცვლილებებზე. ასოცირების შეთანხმების 2016 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის თანახმად, საზღვაო სტრატეგია შემუშავდება შესწორებული კანონის საფუძველზე მას შემდეგ, რაც ზემოხსენებული ცვლილებები იქნება მიღებული.

როგორც ხმელთაშუა ზღვის **თევზჭერის** გენერალურ კომისიის „არაწევრი პარტნიორი ქვეყანა“, საქართველო აგრძელებს ხმელთაშუა ზღვის თევზჭერის გენერალურ კომისიასთან აქტიურ თანამშრომლობას, კერძოდ, გენერალური კომისიის მრავალწლიანი, 2017-2020 წლების სტრატეგიის და მართვის ზომების განხორციელების, გენერალური კომისიის BlackSea4Fish პროექტში მონაწილეობის და უკანონო, შეუთანხმებელი და დაურეგულირებელი თევზჭერის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით. ევროკავშირის მოთხოვნათა შესაბამისად, განიხილება თევზსაჭერი მცურავი საშუალებების ელექტრონული მონიტორინგის სისტემის დანერგვა. საქართველომ ასევე ხელი მოაწერა 2016 წლის ბუქარესტის დეკლარაციას, რომელიც ითვალისწინებს თანამშრომლობის გაძლიერებას შავი ზღვის თევზჭერის და აკვაკულტურის სფეროში. 2017 წლის 15 სექტემბერს ბათუმში ჩატარდა მაღალი დონის მე-4 წლიური კონფერენცია შავ ზღვაში **ლურჯი ეკონომიკის** განვითარების საკითხებზე, რომელიც საქართველოს და ევროკომისიის მიერ იყო ერთობლივად ორგანიზებული.

**ტურიზმი** სწრაფად მზარდ სექტორად რჩება, რომლის საპროგნოზო მაჩვენებელი 2017 წლისთვის მშპ-ის 7%-ს შეადგენს. წინა 10 წლის მსგავსად, საერთაშორისო ტურისტების რაოდენობა ყოველწლიურად სტაბილურად მატულობს. ვარაუდობენ, რომ საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობით 2017 წელი კიდევ ერთი სარეკორდო წელი იქნება. ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია გეგმავს მარკეტინგული და საინფორმაციო აქტივობების ჩატარებას საერთაშორისო მედიასაშუალებების მონაწილეობით, რათა გააძლიეროს სექტორის სწრაფი ზრდის ტენდენცია. ინვესტიციები იდება ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებაში.

**კორპორაციული სამართლის** მიმართულებით ჩატარდა კანონპროექტის მარეგულირებელი ზეგავლენის შეფასება, რომელიც შეეხო ისეთ საკითხებს, როგორებიცაა ევროკავშირის დირექტივებთან შესაბამისობის და დაინტერესებულ მხარეებზე ეკონომიკური ზეგავლენის ანალიზი. მთავრობა ასევე გეგმავს გადახდისუუნარობის შესახებ ახალი კანონმდებლობის მარეგულირებელი ზეგავლენის შეფასების დაწყებას, რომელიც აღმოფხვრის საქართველოში კორპორაციული საქმიანობების რეგულირებაში არსებულ ნაკლოვანებას.

**ფინანსური მომსახურების** კუთხით, საქართველოს ეროვნული ბანკი აძლიერებს საბანკო სისტემის რეგულირების და ზედამხედველობის ჩარჩოებს. ამჟამად მიმდინარეობს მაკროპრუდენციული ინსტრუმენტების შემოღება სავალუტო შეუსაბამობების, უძრავი ქონების რისკების და სისტემურად მნიშვნელოვანი ბანკების საკითხების მოსაგვარებლად. ამავე დროს საქართველოს ეროვნულმა ბანკმა დაიწყო დედოლარიზაციის ზომების გატარება. 2017 წლის 17 მაისს პარლამენტმა მიიღო კანონი, რომლითაც შემოღებული იქნა დეპოზიტების დაზღვევის სისტემა. ამ კანონის თანახმად, საბანკო დეპოზიტების დაზღვევა მოხდება იმ ზედა ზღვრამდე, რომელსაც დეპოზიტების დაზღვევის სააგენტო დაადგენს. სააგენტოს მართვის ქვეშ იქნება დეპოზიტების დაზღვევის ფონდი, სადაც კომერციული ბანკები სავალდებულო შენატანებს იმ სქემის მიხედვით გადაიხდიან, რომელიც ძალაში 2018 წლის იანვრიდან შევა.

**დასაქმების და სოციალური პოლიტიკების** თვალსაზრისით, უმუშევრობის დონე საქართველოში, კვლავ მაღალია (11.8% 2016 წელს), განსაკუთრებით, ახალგაზრდებს შორის (30.5% 2016 წელს) მიუხედავად შემცირების ტენდენციის (16.9% 2009 წელს). ახალი სამუშაო ადგილების შექმნის მაჩვენებელი დაბალია. თუმცა, სიღარიბის საერთო დონე მცირდება. სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისია იკრიბება პლენარული შეხვედრის, ასევე სამუშაო ჯგუფის დონის შეხვედრების გზით, თუმცა პლენარული შეხვედრა არარეგულარულად იმართება და ის პროფკავშირების წარმომადგენელმა წევრმა დატოვა. 2017 წლის თებერვალში სოციალური პარტნიორობის სამმხრივმა კომისიამ დაამტკიცა კოლექტიური შრომითი დავების მედიატორების სია. 2017 წლის მარტში ხელი მოეწერა პირველ დარგობრივ შეთანხმებას მასწავლებელთა კავშირსა და საქართველოს მთავრობას შორის. მომზადდა კანონპროექტი შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის შესახებ, თუმცა პარლამენტის მიერ მისი დამტკიცება გადაიდო. ამ კანონით შესაძლებელი გახდება სპეციფიკური რეგულაციების მიღება, რომლებითაც შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის სფეროში ევროკავშირის დირექტივები დაინერგება, ასევე,

საკანონმდებლო ბაზის შექმნა ამ კუთხით შრომის ინსპექტირებისთვის, რაც უფრო შესაბამისობაშია ევროკავშირის სტანდარტებთან. შრომის ინსპექტირების სისტემა კვლავ ნებაყოფლობითია და მოიცავს შრომის უსაფრთხოების და ჯანმრთელობის დაცვის და იძულებითი შრომის ასპექტებს, თუმცა არ მოიცავს არც შრომის სხვა სტანდარტულ უფლებებს და არც შრომის ზოგად პირობებს თუ შრომით ურთიერთობებს. შერჩეულ რეგიონებში გრძელდება დასაქმების სახელმწიფო სერვისების ახალი მოდელის საცდელი დანერგვა.

2016 წელს, საქართველომ მოამზადა *საზოგადოებრივი ჯანდაცვის* საყოველთაო ეროვნული სტრატეგიის კონცეფციის პროექტი, ხოლო დეტალური სტრატეგიის მომზადება 2018 წელს არის ნაგარაუდები. საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამამ მნიშვნელოვნად გააფართოვა მოსახლეობის წვდომა სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული ჯანდაცვის სერვისებზე და ახლა საყოველთაო სამედიცინო დაზღვევა მოსახლეობის 80%-ს ფარავს. დაიწყო მუშაობა ახალ, ინოვაციურ ელექტრონულ ჯანდაცვის სისტემაზე - ელექტრონული რეცეპტი და ელექტრონული სამედიცინო ისტორია. მთავრობა ასევე მუშაობს ტუბერკულოზის კონტროლის 2016-2020 წლების ეროვნული სტრატეგიის განხორციელებაზე, ასევე, C ჰეპატიტის აღმოფხვრის პროგრამის და აივ-შიდსის პრევენციისა და კონტროლის 2016-2018 წლების ეროვნული სტრატეგიის განხორციელებაზე. საქართველოს აქტიურად მონაწილეობს დაავადებათა პრევენციისა და კონტროლის ევროპული ცენტრის აქტივობებში და ხმელთაშუა ზღვის რეგიონის ეპიდემიოლოგიის სასწავლო პროგრამის ტრენინგებში. თუმცა, პროგრესი უმნიშვნელოა თამბაქოს კონტროლის ყოვლისმომცველი პოლიტიკის განხორციელების და თამბაქოს ნაწარმით უკანონო ვაჭრობის აღმოფხვრის ოქმის რატიფიცირების კუთხით.

#### **4. ტრანსპორტი, ენერგოეფექტურობა, კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ქმედებები, გარემოს დაცვა და სამოქალაქო დაცვა**

*ტრანსპორტის* სფეროში 2016 წლის დეკემბერში მთავრობამ მიიღო საგზაო უსაფრთხოების ეროვნული სტრატეგიის სამოქმედო გეგმა 2017 წლისთვის. სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს შესაბამის საკანონმდებლო და პოლიტიკურ ზომებს, მათ შორის, ინვესტიციებს საგზაო უსაფრთხოებაში და ავტომობილების პერიოდულ ტექდათვალიერებას.

რაც შეეხება *ენერგეტიკას*, 2017 წლის 1 ივლისს საქართველო ენერგეტიკული თანამეგობრობის წევრი გახდა. ასოცირების შესაბამისი ოქმით განსაზღვრულია

ასოცირების ხელშეკრულებით შეთანხმებული ენერგობაზრის მთავარი რეფორმების განხორციელების განრიგი, მათ შორის, ელექტროენერჯის და ბუნებრივი აირის ბაზრების, ენერგოეფექტურობის, განახლებადი ენერჯის და ენერგეტიკასთან დაკავშირებული გარემოს სფეროების რეფორმები. EU4Energy პროგრამა და ენერგეტიკული თანამეგობრობის სამდივნო ეხმარება მთავრობას ამ რეფორმების გატარებაში, განსაკუთრებით, ენერგოეფექტურობის, ელექტროენერჯისა და ბუნებრივი აირის სფეროებში. სამხრეთ კავკასიის მილსადენის გაფართოება, რომელიც საქართველოში გამავალი ბუნებრივი აირის სამხრეთის დერეფნის ნაწილია, მალე დასრულდება. მართალია, საქართველოს ისევ არა აქვს ენერგოეფექტურობის პოლიტიკის ჩარჩო დოკუმენტი, დონორებმა მთავრობასთან თანამშრომლობით განახორციელეს რამდენიმე პროექტი ენერგოეფექტურობის გასაზრდელად, მათ შორის, შეიმუშავეს ენერგოეფექტურობის პირველი ეროვნული სამოქმედო გეგმა. მთავრობა აგრძელებს ახალი ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის ხელშეწყობას; გარდა ამისა, პირველი ქარის ტურბინების პირველი პარკი რეგიონში, რომელიც სამეზობლო საინვესტიციო ფონდის მხარდაჭერით შეიქმნა, გააფართოებს საქართველოს განახლებად ენერგორესურსებს. ხორციელდება ელექტროგადამცემი ქსელის გაძლიერების პროექტი, რაც ხელს შეუწყობს ელექტროენერჯის გაცვლას და ექსპორტირებას.

2017 წლის მარტში საქართველომ დაამტკიცა პარიზის შეთანხმება *კლიმატის ცვლილების* შესახებ, რომელიც ძალაში ივნისში, რატიფიკაციის ფორმალური პროცესის დასრულებიდან 30 დღის შემდეგ შევიდა. საქართველოს ჯერ არ გადაუსინჯავს ერთ სულ მოსახლეზე სათბურის გაზების გლობალური ემისიის შემცირების ეროვნული ნორმა, თუმცა ამ მიმართულებით პირველი ნაბიჯები გადადგა. მიუხედავად ერთ სულ მოსახლეზე ემისიის დაბალი დონისა, საქართველოს კვლავ არა აქვს საკანონმდებლო ჩარჩო კლიმატის ცვლილებაზე, სადაც განისაზღვრებოდა ინსტიტუციური მანდატები და კოორდინაცია, რომ შეასრულოს ის ვალდებულებები, რომლებიც მზადების პროცესში მყოფი სხვადასხვა სტრატეგიითა და გეგმით არის გათვალისწინებული.

რაც შეეხება *გარემოს დაცვას*, საქართველო წინ მიდის ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საკანონმდებლო დაახლოების პროცესში. ნარჩენების მართვის სტრატეგიის და თანმდევი კანონქვემდებარე აქტების, მათ შორის, საშიში ქიმიური ნივთიერებების იმპორტის და ექსპორტის შესახებ აქტების მიღების შემდეგ ეროვნული სტრატეგიის განხორციელება წარმატებით მიმდინარეობს, განსაკუთრებით ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისად ახალ

ნაგავსაყრელებში ინვესტირების ვალდებულების, მათ შორის, საშიში ნარჩენების მართვის, და მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმების შემუშავების დასრულების ვალდებულებების კუთხით. 2017 წლის ივნისში საქართველომ მიიღო გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი, რათა მოხდეს საპროექტო პროცედურების რეგულირება გარემოზე ზემოქმედების შეფასების და სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების მეშვეობით, რაც უზრუნველყოფს გარემოსდაცვითი ინფორმაციის საჯაროობას და საზოგადოების მონაწილეობას. გარდა ამისა, საქართველომ შეიმუშავა ახალი კანონი წყლის შესახებ და კანონქვემდებარე აქტი ჰაერის ხარისხის სტანდარტების შესახებ, რომლის მიღებაც 2017 წელს არის ნავარაუდები.

*სამოქალაქო დაცვის* მიმართულებით საქართველო წინ მიიწევს წყალდიდობის რისკების შეფასებისა და მართვის შესახებ ევროკავშირის დირექტივასთან დაახლოების საქმეში. საქართველო მუშაობს ბუნებრივი კატასტროფებით გამოწვეული ზარალის მონაცემთა სისტემის შექმნაზე, რომელში მიღწეული საწყისი პროგრესი მან ევროპის ბუნებრივი კატასტროფებით მიყენებული ზარალის მონაცემთა მე-9 სემინარზე წარადგინა და მიიღო გადაწყვეტილება, შეიმუშაოს კატასტროფების რისკების შეფასების დამოუკიდებელი ეროვნული მეთოდოლოგია. 2017 წლის აგვისტოში ტყეების ხანძრების გამო საქართველომ ორჯერ აამოქმედა ევროკავშირის სამოქალაქო დაცვის მექანიზმი, რა დროსაც გამოიყენა ევროკავშირის საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების საკოორდინაციო ცენტრის შეტყობინების საჭირო პროცედურები და მიიღო რეგიონული დახმარება, რომლებიც სხვა პარტნიორმა ქვეყნებმა გაუწიეს როგორც რეგიონული პროგრამის ფარგლებში განხორციელებული შესაძლებლობების გაძლიერების აქტივობები. გაფართოვდა ევროკავშირის სამოქალაქო დაცვის მექანიზმთან თანამშრომლობის გაძლიერების ინიციატივები, მათ შორის ტრენინგსა და წვრთნებში მონაწილეობა.

## 5. მობილურობა და ადამიანებს შორის კავშირები

საქართველოს მოქალაქეებისთვის სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაცია 2017 წლის 28 მარტს შევიდა ძალაში. მას შემდეგ ბიომეტრიული პასპორტების მფლობელ ქართველებს შეუძლიათ შენგენის ზონაში ვიზის გარეშე<sup>8</sup> მოგზაურობა (ხანმოკლე დროით). სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სტანდარტების განუხრელად განხორციელება კვლავაც საქართველოს ვალდებულებად რჩება და სწორედ ამ კონტექსტში ჩამოყალიბდა შენგენის სივრცეში მოგზაურთა სრულფასოვანი

<sup>8</sup> ევროკავშირის წევრი ყველა ქვეყანა (ირლანდიისა და გაერთიანებული სამეფოს გარდა), ასევე შენგენთან ასოცირებული ოთხი ქვეყანა - ისლანდია, ლიხტენშტეინი, ნორვეგია და შვეიცარია.



მონიტორინგის სისტემა და რეგულარულად ტარდება სავიზო რეჟიმის წესების შესახებ საინფორმაციო კამპანიები. საქართველო-ევროკავშირის ინიციატივის „პარტნიორობა მობილურობისათვის“ ფარგლებში 2017 წლის 9 ივნისს გაიმართა ადგილობრივი თანამშრომლობის პლატფორმის შეხვედრა. შეხვედრაზე განიხილეს „პარტნიორობა მობილურობისათვის“ ფარგლებში შემდგომი თანამშრომლობის პრაქტიკული ასპექტები. პარტნიორობის პროექტების პრიორიტეტული მიმართულებებია: ლეგალური მიგრაცია და მობილობა; ბრძოლა არალეგალური მიგრაციის წინააღმდეგ, აგრეთვე რეინტეგრაციისა და თავშესაფრის საკითხები.

**განათლების** საკითხები. ევროკომისია და მთავრობა ერთობლივად მუშაობენ ევროპული აღმოსავლეთი პარტნიორობის სკოლის ჩამოყალიბებაზე საქართველოში და დახმარებას უწევენ 2017 და 2018 წლების ევროპულ საზაფხულო ბანაკებს. 2017 წელს ევროკომისიამ და მთავრობამ მოლაპარაკებები დაიწყეს ახალ პროგრამასთან - „შრომის ბაზრის საჭიროებების შესატყვისი უნარ-ჩვევების განვითარება“ - დაკავშირებით. ახალი პროგრამა მდგრად და ინკლუზიურ განვითარებასა და სიცოცხლისუნარიანობის განმტკიცებას შეუწყობს ხელს ადამიანური კაპიტალისა და უნარ-ჩვევების ჩამოყალიბების გზით და განათლების სისტემისა და შრომითი ბაზრის კოორდინაციის გაძლიერებით. საქართველო წარმატებით მონაწილეობს პროგრამაში Erasmus+, როგორც უმაღლესი განათლების შესაძლებლობების გაზრდის (CBHE), ასევე საერთაშორისო საკრედიტო მობილობის (ICM) განხრით. საქართველოზე მოდის EU4Youth („ევროკავშირი ახალგაზრდებისათვის“) კომპონენტის ფარგლებში პირველი კონკურსის საფუძველზე დაფინანსებული პროექტების 31%, რომლებიც Erasmus +ის ბიუჯეტით განხორციელდა. პროექტები ხელს შეუწყობს ქვეყნის ახალგაზრდების პროფესიონალიზმისა და კომპეტენტურობის ამაღლებას მეწარმეობისა და მართვის სფეროებში.

2017 წელს მთავრობამ დაამტკიცა **კულტურის** სტრატეგია 2025 და შესაბამისი სამოქმედო გეგმა 2017-2018 წლებისთვის. სტრატეგია ევროკავშირის აღმოსავლეთი პარტნიორობის კულტურის პროგრამის მხარდაჭერით შემუშავდა. ამავე პროგრამის ფარგლებში საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ დაიწყო მუშაობა იუნესკოს პროგრამაზე „კულტურის ინდიკატორები განვითარებისთვის“ (CDIS). საქართველომ გააფართოვა პროგრამაში „მემოქმედებითი ევროპა“ მონაწილეობა ცხრა წარმატებული პროექტით.

ევროკავშირის მხარდაჭერით საქართველო განაგრძობს ასოცირების შესახებ შეთანხმების შესაბამისად თავისი ვალდებულებების შესრულებას და ახდენს კანონმდებლობის ჰარმონიზებას, რათა მიაღწიოს სრულ შესაბამისობას ევროკავშირის დირექტივასთან **აუდიოვიზუალური** მედია სერვისების შესახებ.

საქართველოს *სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა* სამინისტრომ მოამზადა კანონპროექტები ფიზიკური აღზრდის და სპორტის, აგრეთვე ახალგაზრდულ საქმეთა და მოხალისეობის შესახებ. სამინისტრომ ჩამოაყალიბა ასევე საქართველოს ანტიდოპინგური სტრატეგია 2016-2020 წლებისთვის, რომელიც მოიცავს აუცილებელ ღონისძიებებს ევროპის საბჭოს ანტიდოპინგური კონვენციის ვალდებულებების შესასრულებლად.

*კვლევის, ტექნოლოგიური განვითარებისა და ინოვაციების* სფეროში თანამშრომლობის კუთხით 2016 წლის აპრილში საქართველო პროგრამა „ჰორიზონტი 2020“-ის (H2020)“ ასოცირებული წევრი გახდა. ქვეყანას სარგებლობა მოუტანა პროგრამა „ჰორიზონტი 2020“-ის პოლიტიკის ხელშეწყობის ინსტრუმენტმა, რომელიც უზრუნველყოფს საექსპერტო ანალიზს სხვა ქვეყნებიდან და ორმხრივ სასწავლო განხილვებს. აღნიშნული ინსტრუმენტის ფარგლებში 2017 წელს მხარდაჭერის კონკრეტული ღონისძიება იქნა წამოწყებული, რომლის მიზანი იყო კონკრეტული რეკომენდაციების შემუშავება 2015 წლის საქართველოს მეცნიერების, ტექნოლოგიისა და ინოვაციის სისტემის პოლიტიკის საექსპერტო ანალიზის დოკუმენტში ჩამოყალიბებული მთავარი გამოწვევების დასაძლევად.

## **6. ფინანსური დახმარება**

2014 წელს ევროპის ახალი სამეზობლო ინსტრუმენტის (ENI) დანერგვის შემდეგ ევროკავშირმა 471.5 მილიონი ევრო გამოყო საქართველოს ფინანსური მხარდაჭერისთვის ორმხრივი თანამშრომლობის პროგრამების მეშვეობით. ამაში შედიოდა რეფორმების განხორციელებაში მიღწეული წარმატების შემდეგ გამოყოფილი 60.5 მილიონი ევრო (ევროპის ახალი სამეზობლო ინსტრუმენტის კომპლექსური პროგრამა, რომელიც ცნობილია პროგრამის „მეტი მეტისთვის“ ("More for more") სახელით). 2016 წლის სამოქმედო გეგმა ორიენტირებული იყო სოფლის განვითარებაზე, მათ შორის სოფლად სამუშაო ადგილების შექმნაზე, ასევე ევროკავშირის პროგრამების „ჰორიზონტი 2020“ და „შემოქმედებითი ევროპა“ განხორციელებაზე. 2017 წლის სამოქმედო პროგრამა, რომელიც დასრულების სტადიაში იყო 2017 წლის ოქტომბერში, ყურადღებას გაამახვილებს (1) ადამიანური კაპიტალისა და უნარ-ჩვევების განვითარებაზე, რათა გაუმჯობესდეს განათლების სისტემისა და შრომითი ბაზრის თავსებადობა და (2) ეკონომიკისა და ბიზნესის განვითარების ხელშეწყობაზე კომერციული სამართლის, ფინანსური ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციის და ბიზნესის სრულყოფისა და ღირებულების ჯაჭვის განვითარების გზით.

ცალკეული ქვეყნებისთვის დახმარების გაწევის ახალი ჩარჩო-პროგრამა (Single Support Framework) 2017-2020 წლებისათვის, ასოცირების შესახებ შეთანხმებასთან ერთად, აუცილებელი სტრუქტურული და ინსტიტუციური რეფორმები და მთავრობის რეფორმების ოთხპუნქტიანი გეგმა ყურადღებას გაამახვილებს ოთხ ძირითად სფეროზე. ეს სფეროებია: ეკონომიკური განვითარება და ბაზრის შესაძლებლობები, ინსტიტუტების გაძლიერება და კარგი მმართველობა, ტრანსპორტი, ენერჯია, გარემოს დაცვა და კლიმატის ცვლილება, მობილურობა და ადამიანებს შორის კავშირები.

ევროკავშირმა ხელი შეუწყო საქართველოში რამდენიმე ინიციატივის დაფინანსებას, რომლებიც მოიცავს სხვადასხვა ეკონომიკურ და სოციალურ სექტორებს, ასევე ძირითად ინფრასტრუქტურებს სამეზობლო საინვესტიციო ინსტრუმენტის ფარგლებში. იმავე მიზანს ისახავს ევროპის ფარგლებს გარეთ ინვესტირების ახალი გეგმაც (ძალაში შევიდა 2017 წლის 28 სექტემბერს), რომელიც ითვალისწინებს ახალი საგარანტიო სქემის შექმნის გზით პარტნიორ ქვეყნებთან პოლიტიკური დიალოგის გაძლიერებას ბიზნესის გარემოს და საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესების მიზნით, რაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს დასაქმებასა და ეკონომიკურ ზრდას ქვეყანაში.

გარდა ამისა, საქართველოზე ვრცელდება რეგიონული პროგრამებიც, რომელთა მიზანია მცირე და საშუალო ზომის საწარმოების, ენერჯეტიკის, ტრანსპორტის, გარემოს დაცვის, ფინანსების მისაწვდომობის, ბიზნესისთვის ხელსაყრელი გარემოს გაფართოებისა და განვითარების ხელშეწყობა. საქართველოში ინიციატივის „ევროკავშირი ბიზნესისათვის“ (EU4business) ფარგლებში ხორციელდება რამდენიმე ორმხრივი და რეგიონული პროექტი, რომლებიც დახმარებას უწევენ ბიზნესისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნას, ბიზნესის ხელშეწყობის ორგანიზებას, მცირე და საშუალო ზომის საწარმოების განვითარებას, ფინანსების მისაწვდომობას და კვალიფიკაციის ამაღლებას. ევროკავშირმა ასევე გამოყო 10 მილიონი ევრო E5P პარტნიორობისათვის (აღმოსავლეთი ევროპის ენერჯოეფექტურობისა და გარემოს დაცვის პარტნიორობა), რომელმაც საქართველოს დახმარება გაუწია სკოლების რეაბილიტაციაში და ავტობუსების მოდერნიზებაში თბილისსა და ბათუმში. 2016 წლის დეკემბერში საქართველომ ხელი მოაწერა დაფინანსების ხელშეკრულებას, რომელიც ევროპის სამეზობლო ინსტრუმენტის სასაზღვრო თანამშრომლობის (CBC) შავი ზღვის პროგრამაში მონაწილეობისათვის იყო აუცილებელი.

2017 წლის მაისში ბოლო ტრანშის გამოყოფით დასრულდა ევროკავშირის მიერ 2013 წელს დამტკიცებული 46 მილიონიანი მაკროსაფინანსო დახმარების პროგრამა.

2017 წლის ივნისში საქართველომ ახალი მაკროსაფინანსო დახმარების პროგრამა ითხოვა და 2017 წლის სექტემბერში ევროკომისიამ შესთავაზა მას ასეთი პროგრამა, რომლის ბიუჯეტი დაახლოებით 45 მილიონი ევროა. საქართველოს ასევე 55 მილიონამდე ევროს დახმარება გაეწია ევროკავშირის სტაბილურობისა და მშვიდობის ხელშემწყობი ინსტრუმენტის მეშვეობით. ამ ინსტრუმენტის მოქმედება დაიწყო 2008 წლიდან კონფლიქტით დაზარალებულ ტერიტორიებზე სტაბილურობის დამყარების და ნდობის აღდგენის ზომების განხორციელების მიზნით.

2017 წლის იანვრიდან საქართველოში საჯარო სამსახურების დამშობილების (Twinning) რვა პროექტი განხორციელდა სოფლის მეურნეობის, გარემოს დაცვის, მართლმსაჯულების, ტელეკომუნიკაციების, ვაჭრობისა და მრეწველობის სექტორებში. პროგრამა TAIEX-მა (ევროკავშირის ტექნიკური დახმარებისა და ინფორმაციის გაცვლის ინსტრუმენტი) ხელი შეუწყო საქართველოში ზოგადად რეფორმების პროცესს საჯარო მმართველობის რეფორმის, ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლისა და ასოცირების შესახებ შეთანხმების განხორციელების სფეროებში.

2017 წელს საქართველოს ხელისუფლებამ და ევროპის თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლის ოფისმა (OLAF) გააგრძელეს თანამშრომლობა თაღლითობის - რომელიც უარყოფით ზემოქმედებას ახდენს ევროკავშირის ფინანსურ ინტერესებზე - წინააღმდეგ ბრძოლაში.

## **7. დასკვნითი შენიშვნები და სამომავლო პერსპექტივა**

2017 წელს ევროკავშირმა და საქართველომ კიდევ უფრო გააღრმავეს ურთიერთობები. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ეტაპი იყო შენგენის სივრცეში მოკლევადიანი ვიზიტებით უვიზო მიმოსვლის დაწყება 2017 წლის 28 მარტს. უვიზო რეჟიმის განხორციელების პირველი თვეები წარმატებული აღმოჩნდა. ევროკავშირსა და საქართველოს შორის სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის დიალოგი ეფექტიანი ინსტრუმენტი გახდა ფართომასშტაბიანი რეფორმების წინ წასაწევად. 2017 წელს საქართველომ განაგრძობდა მიგრაციის სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის განხორციელებას, ასევე მიგრაციის ერთიანი ანალიტიკური სისტემის დანერგვას. ენერგეტიკული თანამეგობრობის ხელშეწყობასთან საქართველოს მიერთება სრულ ხელშეკრულ მხარედ 2017 წლის ივლისში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო ევროკავშირთან საქართველოს დაახლოების გზაზე.

საქართველო განაგრძობს ასოცირების შესახებ შეთანხმების ფარგლებში აღებული ვალდებულებების შესრულებას. რამდენადაც ახალი კანონმდებლობა უკვე მიღებულია და არსებობს სათანადო ინსტიტუტები, საჭირო იქნება განახლებული პოლიტიკური ნება და გაძლიერებული ადმინისტრაციული შესაძლებლობები, რათა კვლავაც გაგრძელდეს ნაკისრი ვალდებულებების წარმატებით განხორციელება. ეს ასევე მოითხოვს ინკლუზიურ პროცესს და შესაბამისი დაინტერესებული მხარეების ჩართულობას (მაგ. სამოქალაქო საზოგადოება, სოციალური პარტნიორები და ბიზნესი). ევროკავშირის ფინანსური დახმარება საქართველოსთვის უზრუნველყოფილი იქნება 2017-2020 წლების მრავალწლიანი პროგრამის ფარგლებში, რომელიც ითვალისწინებს ძირითადი სტრუქტურული და ინსტიტუციური რეფორმების, ასევე ასოცირების შესახებ შეთანხმების და მისი სხვადასხვა პრიორიტეტის განხორციელების მხარდაჭერას.

ფიტოსანიტარიული პოლიტიკისა და კანონმდებლობის სფეროში მნიშვნელოვანი მიღწევები აღინიშნა. საჭიროა დამატებითი ძალისხმევა ქვეყნის სურსათის უვნებლობის გაუმჯობესების თვალსაზრისით, თუმცა აგრეთვე სოფლის მეურნეობის პროდუქტებისთვის ევროკავშირის ბაზრის წვდომის უზრუნველსაყოფად.

მდგრადი, ინკლუზიური და აქტიური ეკონომიკური ზრდის მხარდაჭერა ახლა უმნიშვნელოვანესი პრობლემაა საქართველოსთვის. ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა, წარმოება და მოხმარება, ეკოლოგიური სტაბილურობა და რეგენერირებადი (circular) ეკონომიკა ის საკითხებია, რომლებიც მომავალ წლებში უნდა მოგვარდეს. ამ სფეროებში განხორციელებული ქმედებები ქვეყანაში არსებულ გამყოფ ხაზებს გადაკვეთს, ამიტომ აუცილებელია ნდობის აღდგენის კომპონენტების წახალისება. ქმედით სახელმწიფო და მართლმსაჯულების მანქანას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება არა მხოლოდ საქართველოში რეფორმების განსახორციელებლად, არამედ მოქალაქეებისა და ინვესტორების ნდობის ასამაღლებლადაც.

საქართველოს განათლების სისტემის რეფორმა ხელისუფლებამ უახლოესი წლების ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად აქცია. განათლების სისტემას, შრომით ბაზარს და ეკონომიკას შორის უფრო მჭიდრო კავშირის დამყარება პრიორიტეტულია და ევროკავშირი ამ სფეროში 2017 წელს და შემდგომ პერიოდში ფინანსურ დახმარებას უზრუნველყოფს. გარდა ამისა, ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერა ხელს შეუწყობს საქართველოში ეკონომიკური განვითარების გაუმჯობესებას კომერციული სამართლის განმტკიცების, ფინანსური ინფრასტრუქტურის მოდერნიზებისა და მცირე და საშუალო საწარმოების და ბიზნესის განვითარების

ხელშეწყობით. დახმარება გაეწევა ასევე ევროკავშირ-საქართველოს ინიციატივას „პარტნიორობა მობილურობისათვის“ და სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის ყველა ნიშნულის ეფექტიანად განხორციელებას. კონკრეტული ძალისხმევა იქნება გაწეული მოქალაქეებთან უფრო აქტიური კომუნიკაციის ხელშეწყობის, მდგრადი დამოუკიდებელი მედიის და სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერების მიმართულებით.

ევროკავშირი და საქართველო შეთანხმდნენ, გააფართოონ თავიანთი ორმხრივი ურთიერთობები და ჩართონ საერთო ინტერესის დამატებითი სფეროები, მათ შორის უსაფრთხოების სფეროში. საქართველო საპილოტე ქვეყანაა ევროკავშირის უსაფრთხოების სექტორის რეფორმის სტრატეგიის ფარგლებში. ევროკავშირსა და საქართველოს შორის არაფორმალური სტრატეგიული დიალოგი 2017 წლის ოქტომბერში შედგა.